ოქმი N15

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2016 წლის 27 ოქტომბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

2. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 1 (ე. წურწუმია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: დ. გაბუნია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობა და როგორც დამფუძნებელი უფლებამოსილია დაამტკიცოს შესაბამისი იურიდიული პირის წესდება და განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები. კანონში განხორციელებული ზემო აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სადამფუძნებლო განკარგულებებში ხორციელდება ცვლილებები, კერძოდ სადამფუძნებლო განკარგულებებში ძალადაკარგულად ცხადდება იურიდიული პირების წესდებები და შესაბამისი ჩანაწერით ეს უფლებამოსილება ენიჭება მუნიციპალიტეტის გამგებელს. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ხურცილავა, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N52 ოქმს თან ერთვის)

2. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის შესრულების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2016 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 12891.7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 13663.4 ათასი ლარი შეადგინა. 2016 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 78.8 %-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 6137.9 ათასი ლარიდან შემოსულია 5975.9 ათასი ლარი (97.36%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 5907.3 ათასი ლარიდან მიღებულია 3605.2 ათასი ლარი (61%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 424.6 ათასი ლარიდან შემოსულია 486.6 ათასი ლარი (114.6%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 421.9 ათასი ლარიდან შემოსულია 92,4 ათასი ლარი (21,9%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი

იანვარ-სექტემბრის შესრულების მიხედვით ათვისებულია 57,6% (გეგმა 13663,4 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 7873,8ათასი ლარი). გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში და შესრულების შედეგები კომისიის მიერ შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 23

დადებითი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ე. წურწუმია, გ. ხურცილავა, რ. სერგია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის შესრულების შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „გამგეობა და საკრებულო ერთიანი გუნდია, თუმცა არ ერიდებიან შენიშვნების გამოთქმას არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, მისი თქმით ჯანსაღი შენიშვნები, მისაღები უნდა იყოს ყველასთვის და ფიქრობს, რომ გამგეობის შესაბამისი სამსახური გაითვალისწინებს მას.“

ი. ნადარაია - გამომსვლელმა განმარტება სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარეს რაიმე სახის ცვლილებები ხომ არ განხორციელებულა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში საკრებულოს წევრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის თვალსაზრისით?

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ არავითარი ცვლილება არ განხორციელებული კანონში ამ კუთხით და ის თავისუფალი იყო შეზღუდვების გარეშე მიეღო მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. თენგიზ აბაკელია
8. ლევან ქავთარაძე
9. ვასილ კუკავა
10. კახა ლატარია
11. კახა მიქაბერიძე
12. მერაბ ფილიპია
13. გიორგი ხურცილავა
14. მალხაზ ყურუა
15. ლეონიდე ლოლუა
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. გენადი ქაძანაია
21. გენად ზარანდია
22. ფრიდონ შონია
23. როლანდ სერგია
24. მზია ლემონჯარია
25. იგორ გოგოლაძე
26. ბეჟან ქირია
27. ირაკლი ნადარაია